



## მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000085504404918

№ ს-1164

22 / მაისი / 2018 წ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**„მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხის შემსწავლელი საბჭოს შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 დეკემბრის #ს-1022 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

**1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხის შემსწავლელი საბჭოს შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 დეკემბრის #ს-1022 ბრძანებაში, კერძოდ:

- 1.1.** ბრძანების პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „დ.ა. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების მე-4 რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - ალექსანდრე ლუტიძე“.
- 2.** ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
- 3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის  
შემსრულებელი

გივი გიუტაშვილი